ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 368

"8" დეკემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №96-110-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 007/049) არსებული 655 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.13.08.007.049) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარენოსთვის" (ს/ნ 202198237) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №96-110-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 007/049) არსებული ტერიტორიიდან (ს/კ: №01.13.08.007.049) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარენოსთვის" (ს/ნ 202198237) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 24 ნოემბრის №20.1379.1706 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №96-110-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 007/049) არსებული 655 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.13.08.007.049) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარენოსთვის" (ს/ნ 202198237) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე